



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ფოთის „კოლხი რაინდები“ - ზესტაფონის „არწივები“		
გუნდი	ზესტაფონის „არწივები“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	22/04/2022	მატჩის ადგილი	ფოთი, პარკი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	ზესტაფონის „არწივები“	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი			
მომჩივანი	მატჩის მეთვალყურე ტარიელ მარგველაშვილი	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3. 2.სანქციები გუნდის მატჩზე არ გამოცხადების შემთხვევაში	წითელი ბარათი	✓ საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	27/04/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე		
დამრღვევის დასწრება	კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები			



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პირვნების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის ტარიელ მარგველაშვილის საითინგი 22/04/2022;
2. ზესტაფონის „არწივები“-ს დირექტორის რომან პირველაშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

ზესტაფონის „არწივები“-ს დირექტორმა, რომან პირველაშვილმა, გუნდის თამაშზე არგამოცხადების მიზეზად დაასახელა მოთამაშეთა არასაკმარისი რაოდენობა.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 22/04/2022 რეგიონალური ლიგის მატჩზე ფოთის „კოლხი რაინდები“-სა და ზესტაფონის „არწივებს“ შორის, ზესტაფონის „არწივები“ არ გამოცხადდა თამაშზე.
2. 22/04/2022 სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს მომართა მატჩის მეთვალყურემ ტარიელ მარგველაშვილმა, საითინგში აღნიშნულია, რომ 22/04/2022 რეგიონალური ლიგის მატჩზე ფოთის „კოლხი რაინდები“-სა და ზესტაფონის „არწივები“-ს შორის, ზესტაფონის „არწივები“ საპატიო მიზეზის გარეშე არ გამოცხადდა თამაშზე.

სადისციპლინო კომისიამ განიხილა სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოუსმინა ზესტაფონის „არწივები“-ს დირექტორის რომან პირველაშვილის არგუმენტებს და მის მიერ თამაშზე არგამოცხადების მიზეზები მიიჩნია არასაკმარისად.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-ს 2.2, 2.4 პუნქტებით, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.5 პუნქტით და მიიღო



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ზესტაფონის „არწივებს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. გუნდის მიერ საჯარიმო თანხის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, ზესტაფონის „არწივებს“ რეგიონალურ ლიგაში დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა.
3. ფოთის „კოლხ რაინდებს“ ჩაეთვალოს მოგება, მიენიჭოს მატჩში შესაძლო მოსაპოვებელი საცხრილო ქულების რაოდენობა და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	27/04/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.